მზია ხეთაგური

# ტვინიქექიას გაკვეთილები

(ოთხსურათიანი პიესა-ანეკდოტი)

მოქმედნი პირნი:

ტვინიქექია
დევი
ტვინიქექიას ცოლი მაშო
დევის ცოლი ბრიალა
ხალხი

ტვინიქექიას სახლი. შპალერის ნაცვლად კედლები გაზეთებითაა დაფარული. ტვინიქექიას ცოლს მუხლებშუა უზარმაზარი როდინი ჩაუდგამს და ნაყავს. კარი ჭრიალით იღება და შემოდის ტვინიქექია ზურგზე მოკიდებული ჩანთით, რომლიდან დროშის ტარს ამოუყვია თავი. ტვინიქექია შემოსვლისთანავე დეკლამატორის ხმით კითხულობს ლექსს, რომელიც შეიძლება სიმღერადაც გამოდგეს.

ტვინიქექია —

ჩემო ლამაზო სამშობლო,
მიზანზე უფრო მიზანო,
სხვებზე ზრუნვით და სიკეთით
საკუთარ სახლში ხიზანო,
შენ სისხლო ჩემო, ჯიგარო,
შენ მიზამ, რასაც მიზამო.

მაშო — დღესაც იქ ბრძანდებოდი?
ტვინიქექია — დღეს დამფუძნებელ კრებაზე გახლდი, ჩემო მაშო.
მაშო — შაქარი მოიტანე?
ტვინიქექია — ნწუ...
მაშო — კარაქი?
ტვინიქექია — ნწუ!
მაშო — ხორცი?
ტვინიქექია — ბარემ იმა მკითხე, რა მოვიტანე.
მაშო — რას მოიტანდი, რა! იმევ ახალ გაზეთებსა და ახალ ამბებს. სხვებს სახლი ფერადი შპალერით აქვთ მორთული — ჩვენ კი ნაირ-ნაირი გაზეთებითა.

ტვინიქექია -- სამაგიეროდ ეს კედლები ჩვენს ისტორიას ახახავს. ოდესმე ჩვენი სახლი მუზეუმად გადაკეთდება.
მამო -- მუზეუმად, არა, მავზოლეუმად!
ტვინიქექია -- (პათეტიურად) დადგება დრო და ჩემს ლექსებს ხალხი ღრომახავით აიტაცებს!
მამო -- ჯერჯერობით არაცებული შენა ბრმანდები! თუ მართლა ჟვეთი გენიოსი ხარ, ერთი ისეთი ლექსი დაწერე, რომ შენ კი არ აზეპირებდე, წამაკითხეთ და დამიზეპირეთო, არამედ კედლებს გადაგლეჯდნენ -- შენი ჭირიმე მოგვეცი, ცივ ნიავს არ გავაკარებთო!
ტვინიქექია -- (კბილები დაკრაჭუნა) მამო!
მამო -- (თითქოს არ ესმის) იმ ხალხს, ვისაც მართლა შეუძლია ერთი გადაარჩინოს თავისი ტვინითა და ჭკუითა, რას მოშველებიხარ შენი ფუჭი ლექსებითა და უსაქმურობითა!
ტვინიქექია -- შენ რომ ეგრე უპატივცემულოდ მექცევი, სხვა რაღაც მიზამს! აი, ცისკე მიგნიდან გატყდებაო, შენზეა ნათქვამი.
მამო -- გარეთ [illegible] კბრჭყავებს თვალებს და მიგნით მოყვარესაო -- ეს კი შენზეა ნათქვამი.
ტვინიქექია -- მამო! კატეგორიულად გაფრთხილებ!
მამო -- მაშ ისე უნდა ჩავწვე საფლავში, რომ ადამიანურ ცხოვრებას კატეგორიულად ვერ ვეღირსო?
ტვინიქექია -- ქალო, რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ სწორედ ადამიანური ცხოვრებისათვის ვიბრძვით! მაჭამე რამე, მშია!
მამო -- რა მოგიტანე, რასა მთხოვ!
ტვინიქექია -- მამო!
მამო -- რაა "მამო"? მოიტა მგ გაზეთები, -- ან შეგიწვავ, ან მოგიხარშავ, ან თუ უფრო გაგემრიელდება, მაგ დროშის ტარს დავკეპავ და ჩაგიხოხბავ.
ტვინიქექია -- შე მკრეხელო და უიდეო დედაკაცო! სწორედ შენისთანები ებრძვიან კაცობრიობის დიად იდეალებს! მაჭამე -- მეთქი, მშია!
მამო -- იდეალები შეჭამე და გაძღები! (გაბრაზებული ნაყვას განაგრძობს.)
ტვინიქექია -- თუ საჭმელი არა გაქვს, მაგ როდინში რაღას ნაყავ?
მამო -- რასა ვნაყავ და წყალს. შენთან ლაპარაკი ხომ მაინც წყლის ნაყვაა.
ტვინიქექია -- მა-მო! უკანასკნელად გაფრთხილებ!
მამო -- (წამოიჭრა და როდინის ქვა მოუღერა) არა, ახლავე თავიდან მომწყდი, შე უსაქმურო, მყაა: კაცი რომ დამქორდება, გაზეთებისგან შეკაკერო! შენ მიტინგებზე იტრიალე, კრებებზე ბრტყელ-ბრტყელად ილაპარაკე, მე კი აქ თავი ვიმტვრიო რისგან რა გაკეთო, არა? აქედან გამასწარი, თორემ! (კედლიდან გაზეთებს ჩამოხევს) აი! აი! მომწყდი თავიდან!
ტვინიქექია -- კარგი, მივდივარ, ოღონდ არ ინანო, მე... მე... მე...
მამო -- შე ტვინიქექია, შე გაზეთქექია! მოცოცხე აქედან!
ტვინიქექია -- სად მიბრძანებ, ვის მივადგე ამ შუაღამეზე, ჰა?
მამო -- წაბრძანდი და მოშიმშილეებს მიუჯექი. ისედაც შიმშილით გძვრება სული და საქმეში მაინც ჩაგეთვლება!
ტვინიქექია -- შე უიდეო, შე მკრეხელო დედაკაცო! (ხელჩანთა ისევ ზურგზე ჰკიდია. გაზეთებს აფრიალებს და გაფრინდება).

## სურათი მეორე

ტვინიქექია მარტო მიდის ღამის გზაზე და რომ არ შეეშინდეს, გაბედული ხმით მიიმღერის, შედგება, რაღაც ხმაზე შეკრთება, მაგრამ ცდილობს, სიმხდალე არ შეიმჩნიოს.

ტვინიქექია -- ბიჭოს, ეს რა მშვენიერი ბეისაგია! ერთი ამ ლოდზეც წამოვწვე! (სიგრძეზე გაწოლილი მძინარი დევი ლოდი ჰგონია) იფ, რა რბილი ლოდია! (დევი გაიზმორა) იი, რა კარგად მატრუნავებს! (დევს გაეღვიძა, წამოჯდა და თავის ლიპზე წამოგორებული ტვინიქექია შერჩა ხელში).
დევი -- (გაოცებული) შეეეე... ვინა ხარ?
ტვინიქექია -- (უფრო გაოცებული) იიი... ეს რა მოლაპარაკე ლოდი ყოფილა.......
დევი -- რა ლოდი რი ლოდი! ვინა ხარ -- მეთქი, შე ჭიაყელავ!
ტვინიქექია -- (შეეშინდა, მაგრამ იმტიბარი არ გაიტეხა) ჭიაყელაცა ხარ და ტარაკანაც!
დევი -- რაო? შე, შე, შე....
ტვინიქექია -- შე ბრიყვო, შენა!
დევი -- ამ მუჭში მოგსრისავ, შე, შე!... ( ტვინიქექია მოიმუჭა)
ტვინიქექია -- (მუჭში მოქცეული თითქოს ქვევრიდან იძახისო) შე მაჩინჯო, შენა!.
დევი -- შე... შე...
ტვინიქექია -- მე სახელგანთქმული კაცი ვარ. შე გაუნათლებელო. უმეცარო, შე ექსტრემისტო!
დევი -- რაო?!
ტვინიქექია -- შე ფორმალო!
დევი -- იიი! როგორაო?
ტვინიქექია -- (აზარტში შევიდა) შე სუკის აგენტო!
დევი -- ჰო, აი ეგ კი კარგი გამახსენე. ახლავე, აგკუწავ და შენი ხუკის ტყავლებს შევაჭრამუნებ. აჰა, გამომართვი!
ტვინიქექია -- ეგ რა არის.
დევი -- ხარი; მიდი, გათალე!
ტვინიქექია -- რათა?
დევი -- იმადა! რომ ზედ კარგად წამოგაგო!

ტვინიქექია -- მეტი საქმე არა მაქვს. დადექი და თალე თუკი გეზარისება. მე მშია, უნდა მაჭამო და დავიძინო, ხვალ ქვეყნის საქმე მაქვს.
დევი -- ხვალინდელი დღე აღარ გაგითენდება, რადა საქმის ჯავრი გექნება!
ტვინიქექია -- მე შენ გეუბნები, ერთი კარგი ვახშამი გაამზადე, მაჭამე და შენი ხმა აღარ გავიგონო ისე წამოწექი, -- რბილი ლოგი მჭირდება.
დევი -- ერთი ამას დამიხედეთ! მაინც ვინა ბრძანდები!
ტვინიქექია -- (შუბლზე ხელი მიიდო) ვინა ვარ და -- ტვინიქექია!
დევი -- ჰი! მე ნაცარქექია გამიგონია, ტვინიქექია კი პირველად მესმის.
ტვინიქექია -- აბა ტვინი გაანძრიე. ნაცარქექია და ტვინიქექია ერთია? მე რომ ტვინს მოვიქექავ, საქვეყნო აზრებს ვაფრქვევ! შენ გაუნათლებელო, შენა! გინდა, შევეჯიბროთ?
დევი -- რითი.
ტვინიქექია -- ლექსებით გამოხატულ ჭკუაში.
დევი -- შევეჯიბროთ, რა!
ტვინიქექია -- შენ დაიწყებ თუ მე დავიწყო.
დევი -- შენ დაიწყე.
ტვინიქექია -- ვიწყებ, დამიდექი, თუ ვაჟკაცი ხარ!
დევი -- დაიწყე, რით ვეღარ დაგიწყია!
ტვინიქექია --

ცაში ვერცხლები ბუდობენ,
მიწაზე -- ქოხუნები,
მაგრამ მთაური ხალხია
და მისი მძლავრი ხელები.
ჩემი ხატია ეს მიწა,
მე ამას შემოვევლები! (პაუზა)

დევი -- მორჩი?
ტვინიქექია -- ჰო, ახლა შენი ჯერია.
დევი --

ცას კარგად ვიცი, მიწასაც,
გამოქვაბულში ვცხოვრობ... (დაფიქრდა)
საჭმელიც მაქვს, სასმელიც
კოხტა ლამაზი ცოლიც! (კმაყოფილი სახე აქვს)

ტვინიქექია -- სულ ეგა ხარ? მაგ ლექსში ხომ რითმა არ არის დაცული!
დევი -- რითმა რა ვიცი, მაგრამ შიგ სულ ნაღდი სიმართლეა! მიდი, ახლა შენა თქვი!
ტვინიქექია --

სულ უნდა გადავიარო
მთები და მინდორ-ველები,
რომ დავამარცხო ამ ტვინით
გამოქვაბულის დევები!



დევი – (გაბრაზებული)

მაშ გიცხონდეს, სულ შენთვის
ვინახავ ჯანს და ხორაგს!
ერთს დაგცხებ, ცაში აგისვრი,
შე ასეთო და ისეთო!

ტვინიქექია – (დაცინვით)

ეჰ, შენ რომ რითმა გეწყინა,
ლექსიც დაწერილი ლამაზა,
მაგრამ უნიჭო ბრძანდები,
[illegible] ჭკუის [illegible] მამასა!

დევი – (სულ გაგიჟდა) –

შენზე უნიჭოს გავხარი
ერთიც და მეორე შეშინდე,
ისე გაგზეპირებ, ვით საწნახ
პანტა, ფეხადი ხეშეი! (ტვინიქექიას ეცა)

ტვინიქექია – (სიცილი აუტყდა და განზე გახტა)

ადრეულ რას გაახარე
შაირმა ხალხის აწყობით,
ეკლიან მაინც ეჭვიანი
მაგ თავში ტვინის ნაწყობი!

ორივენი ხარხარებენ და ხელიხელ გადახვეულნი ღიღინით გაუდგებიან გამოქვაბულის გზას. გამოქვაბულს რომ მიუახლოვდებიან, მოისმის ქალის სიმღერა.

დევი – აი, ხომ გესმის, რა მშვენივრად მღერის.
ტვინიქექია – მესმის. ვინ არის?
დევი – ჩემი მშვენიერი ცოლი. ჰოდა მე რომ მახინჯი ვიყო, განა მგონ დამიჩაგდ იმღერებდა? ან, ახლაც მოეწონატე და იმიტომ მღერის.
ტვინიქექია – ეგ შენი ცოლი, ეტყობა, ბრმა არის და კარგად ვერა გხედავს.
დევი – ისეთი ლამაზი თვალები აქვს, სულ წითლად ანათებს!
ტვინიქექია – ჰო, მაშ უჭკუო ყოფილა!
დევი – მაშა! რაკი შენ იტყვი! ჭკუას აფრენს ჩემზე, ისე ვუყვარვარ.
ტვინიქექია – ჰოდა, მთელი ჭკუა დაუკარგავია და სადღა ექნება.
დევი – მაშა! ისეთი, ჭკვიანია, ეგ რომ ფეხისგულებზე მიმარჩიელებს ხოლმე, სულ მიხარ-მიხარ მიძინება. შედით ჩვენს გამოქვაბულში! (გამოქვაბულში დევის ცოლი ბრიალა მიეგებებათ).

ბრიალა —

შენი სალამი, სტუმარო,
იმღერე, რატომ სდუმხარ!

ტვინიქექია —

სიმღერის თავი სადა მაქვს,
დღეს იქვე გადავიღალე,
დილით მატარებელზე ვიყავი,
ღამე თავში ქვა მიხალეს,
უბრალო ქვა არ გეგონოთ,
მტარვალთა ვახშმის ლოდები,
ამ ცრუის ძლივს ამექცა რომელი ქვა
უზარმაზარი როდინის.

დევი — რომელ ქვაც გავიგე, როდინიცა და ვახშამიც, მაგრამ ის რა თქვი, რაით, სად იყავით?
ტვინიქექია — მი...იქა, მიტინგზე.
დევი და ბრიალა — სადა, სადა?!
ტვინიქექია — ე, ეს რა გაუნათლებლები არიან! დადექი და ჩაუტარე ამათ პოლიტიკური გაკვეთილები!
დევი — პოლიტიკურითი? ეგ რაღა არის?
ტვინიქექია — აი, როცა გაიგებ, ჩალხში გაუშვები, მაგ რქებსაც მოიმტვრევ და შეიძლება ლიდერობასაც გამოჰკრა ხელი.
დევი — ლიდერობა რა არის?
ტვინიქექია — მოკლედ, უნდა გაგანათლოთ, სხვა გზა არ არის, თორემ სირცხვილით ამ გამოქვაბულიდან თავი არ გაგეყოფათ.
ბრიალა — მაშ სირცხვილსა ვჭამ?
ტვინიქექია — მაშ! მაგრამ ვიდრე სირცხვილსა ვჭამდეთ, მოდი ერთი კარგი ვახშამი ვჭამოთ.
დევი — ვჭამოთ, რა!
ბრიალა — (დაფაცურდა, სუფრას ლექსითა და სიმღერით აწყობს)

კოხტა სუფრის გაწყობად
გაქვს ჭრელ-ჭრელი ფარდაგი;
ზედაც კოხტად დაწყობილი
ზუთხი, ღომი, სათალი,
ბატკანი და ინდაური,
გოჭიცა და დედალიც,
ისისთანა გემრიელი,
არ სჭირდება მარილი!
ხიზილალა შავგვრემანი,
ხიზილალა — წითელი,
ყველი, ხაჭო და კარაქი
თაფლიცა და ფხალეულიც;
მწვანილი და ბადრიჯანი —
ჩვენი სამთელ მოსავალი,

სულგუნი და ჭყინტი ყველი,
თუშური და ოსური,
ყველი შვეიცარული,
ყველი ჰოლანდიური...

(უეცრად ტვინიქექია ადგილს მოსწყდა, თავისი ზურგჩანთიდან პირქვე დაცალა და ზღუქუნი ამოუშვა.)
დევი -- რა გატირებს, ჰა? აგი ესა ვარ და ისა ვარო!
ტვინიქექია -- რაღა რა მატირებს! სათალი და ზუთხი რომ დავინახე, ძლივს გავუძელი, ბატკანზე, გოჭზედაც და ხიზილალაზეც კი მაგრად დავდექი, მაგრამ ყველის თხუთმეტნაირი სახეობა რომ დავინახე.... ვინ მომაშავებს. მე უბედურს, თუნდაც ერთი ნაჭერ გემრიელ ყველს!
დევი -- (ძალიან გაოცებული) იიი! ხელ არა გაქვს?!
ტვინიქექია -- ათასში ერთხელ! ისიც, ერთი მუწო და ისიც -- ტალონით.
ბრიალა -- ტალონი რა არის?
დევი -- ჰო, ეგ ტალონი რაღა ჯანდაბაა?
ტვინიქექია -- ეჰ, განა თქვენი პოლიტიკური სიბეცე არაა სჯობს ჩემს გაფუჭებულ სუფრას?
დევი -- შენ მე და ჩემი დედაკაცი გაგვანათლე და ჩვენ პასუხად სადილ-ვახშამს არ მოგაკლებთ! აბა, ბრიალა, მუსიკა! (მხიარული მუსიკის ფონზე ვახშმობენ. ბრიალას ხელშიც ლანგარი უჭირავს, თავზეც ლანგარი ადგას, უზარმაზარ მკერდზეც ზემოდან ლანგარი ადევს და სუფრას ცირკის ფოკუსებით შლის).
ბრიალა --(მღერის)

დაჯექ, ძვირფასო სტუმარო,
მიირთვი ნელა-ნელა,
ვერ შეედრება ვახშამს
ვერც ტორტი, ვერც [illegible],
მერე კი უნდა იცეკვო,
რომ მოწყენილი არ იყო,
ტაშ-ფანდურაში ჩაყვებით
მე და ძვირფასი ქმარიკო!

## სურათი მესამე

(ტვინიქექია პოლიტიკურ გაკვეთილებს უტარებს დევსა და ბრიალას)
ტვინიქექია -- აბა, გაიმეორეთ, რაც გასწავლეთ. რას ნიშნავს ლიდერი.
დევი -- ([illegible]) ლიდერი ნიშნავს ხალხის მეთაურს, წინამძღოლს, სათაყვანებელ და ხატზე სალოცავ კაცს.
ტვინიქექია -- (ჟურნალში ნიშანს უწერს) ყოჩაღ, ხუთიანი! აბა, რას ნიშნავს ექსტრემისტი და არაფორმალი და რა განსხვავებაა მათ შორის.

ბრიალა -- (სჩაგახჩუბით) ექსტრემისტი იმ პირს ჰქვია, რომელიც ჩაგიჩრელ და უკანონო საქმეებს სჩადის.
დევი -- არაფორმალი კი იმას ჰქვია, რომელიც იბრძვის სამართლიანობისათვის და უკანონო ფორმალებს აკრიტიკებს.
ბრიალა -- მათ შორის განსხვავება კი ისაა, რომ პირველი ექსტრემისტია, მეორე კი -- არაფორმალი.
ტვინიქექია -- ხუთი, ხუთი! შემდეგი კითხვა: რა არის მიტინგი, რით განსხვავდება იგი საშვიდნოემბრო დემონსტრაციისაგან, რით ჰგავს და რით არ ჰგავს?
დევი -- მიტინგი არის ხალხის სამართლიანი მოთხოვნების საჯაროდ გამოცხადება, ბრძოლა ფორმალური მთავრობის წინააღმდეგ და სამართლიანი მოთხოვნების წაყენება.
ბრიალა -- მიტინგი საშვიდნოემბრო დემონსტრაციას ჰგავს ხალხმრავლობით, ხოლო არა ჰგავს მისაართით და ტრიბუნაზე, ამჯერად, არაფორმალი ფორმალები დგანან.
ტვინიქექია -- ხუთი, ხუთი! აბა, ახლა ის მითხარით, რას ნიშნავს შიმშილობის აქცია.
დევი -- ეს არის პროტესტის უკიდურესი ფორმა.
ტვინიქექია -- ყოჩაღ! უკვე შეიძლება, რომ ქალაქში წაგიყვანოთ მიტინგზე ექსკურსიის სახით.
დევი და ბრიალა -- ვაშაა!
ტვინიქექია -- წავედით!

## სურათი მეოთხე

მიტინგი. ხალხის ხმაური, იმის სიმღერები, ხმები მიკროფონიდან: გაუმარჯოს თავისუფლებას!

-- გაუმარჯოს ყველას, ვისაც იდეალებისათვის თავის გაწირვა შეუძლია! (დევი მიკროფონთან აღმოჩნდა)

დევი -- ხალხო, მეც მათქმევინეთ!
ხმები: ეს ვიღაა?
-- ფაშისტია? -- ინფორმალია?
-- რეციდივისტია?
-- მესიკითხია?
-- ცისაა თუ მიწისაა?
დევი -- არც მიწისა ვარ, არც ცისა, ხალხო! მე ვარ დევი! (შეძახილები) ეს კიდევ ჩემი ცოლია, ბრიალა! (სიცილი) მე და ჩემმა ბრიალამ მშვენიერი ცხოვრება შევქმენით იქ,) ჩვენით გამოქვაბულში, აბა აიხედეთ! ვერ ხედავთ ყველაფერი ჩვენია: ფრინველი, თევზი, ცხვარი, ფუტკარი... აქ რახსა ბზუით ფუტკრებითურთ, იქ ამოდით და იფუხფუხეთ...
ბრიალა -- ჰო! ამდენი ხალხის მოცულობას იქ გააძღოთ ზელი!
დევი -- ერთმანეთს რომ დარევიხართ, აბა იქ დაიკაპიწეთ მკლავები!



ხმა -- თუ დევი ხარ, ნაცარქექია რა უყავი?
დევი -- ნაცარქექიების დრო წავიდა. ახლა ტვინიქექიების დრო დადგა. დევი კი ისევ დევად დარჩება!
ბრიალა -- წამოდით, ხალხო, თესეთ და ბარეთ, ითევზავეთ და ინადირეთ, მოამწვნეთ და გაამრავლეთ, იბრძოლეთ და იცხოვრეთ!
ხმა -- ლიდერს გვითხოვთ!
ხმა -- მაშ ეს დევი? ლიდერია, მაშ ვინ არის! (სიცილი)
ხმა -- გაუმარჯოს დევს!
ხალხი -- გაუმარჯოს!
მამო -- ქალბატონო დევის ცოლო, ჩემი ტვინიქექია ხომ არ გინახავთ სადმე?
ტვინიქექია -- აქა ვარ, აქა, ნამო!
მამო -- მე დეზერტირო!
ტვინიქექია -- რათა, მამო? წამოდი დევის გამოქვაბულში. იმისთანა ნუგბარებს გაჭმევ, რომ მერე გაზეთებსაც სიამოვნებით წაიკითხავ.
მამო -- არა, გენაცვალე, ვერსადაც ვერ წამოვალ. მე უკვე საზოგადო ქალი ვარ და მოშიმშილეებთან ვწევარ.
ტვინიქექია -- შენ და... საზოგადო მოღვაწე?! ეს რა დაგემართა, მამო!
მამო -- განათლებული გავხდი, გა-ნათ-ლე-ბუ-ლი!
დევი -- ხალხო, აი, ეს არის ქალის პოლიტიკური ემანსიპაცია. მე მოგიწოდებთ, ფრთხილად იყოთ, ხელიდან არ გაუშვათ ფორმალური და არაფორმალური, აგრესიულად მოაზროვნე და პასიურად დაუმორჩილებელი, ავტორიტარული და მონოტონური, ბატონ-დე-ბატონი და მადამ დე-ბატური! გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ დამოუკიდებელ და ღვთით კურთხეულ მიწის კოსმოპოლიტიკურ სივრცეს!
ხალხი -- (აღტაცებით) გაუმარჯოს, გაუმარჯოს!
დევი (აზარტში შევიდა) მაგრამ ის, ვინც ერისერთობას, არ იმღის თავის საზოგადო პროვოკაციებს და დემოკრატიზაციას ქმნის, აუცილებლად დაისჯება, დიახ, დაისჯება!
ხალხი -- გაუმარჯოს დასჯას! გაუმარჯოს დევს!
ტვინიქექია -- (დევს სარტყელზე ექაჩება) დევო, დევო, გეყოფა, წავიდეთ, საქმეს მივხედოთ, რა ენად გაიგრძელე! ჩვენი ექსკურსიის დრო ამოიწურა! ვერა ხედავ, რომ დაგვიგვიანდა?
ბრიალა -- (ტვინიქექიას) მოიცა, ჩემს ქმარს ხელს ნუ უშლი, ხომ ხედავ, რა განათლებულია, რა სიტყვებს ამბობს, ხალხი გააგიჟა!
ტვინიქექია -- ახია ჩემზე, ახია! ეს რა კაცი, ეს რა დევი, ეს რა მოიხსენიე და რა ძალა გამოვაგდე ხელიდან! (დევი ხელების ქნევას განაგრძობს, ტყავს გაიძრობს და მოისვრის, რომელსაც ტვინიქექია იჭერს. ისმის ყიჟინა, შეძახილები: „გაუმარჯოს დევს!" (ტვინიქექია მთელი ძალით ჩამჭიდრის

მიკროფონში) ხალხო! ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, არ გესმით? (ყიჟინაში მისი ხმა არავის ესმის. ტვინიქექია მაყურებლისაკენ მობრუნდება და მშვიდი, სევდიანი, მაგრამ იმედიანი ხმით მიმართავს) ქალბატონებო და ბატონებო, წვეროსანნო და პირტიტველნო! ნება მიბოძეთ ჩემი მადლიერების სიტყვა შევუთვალო ბატ. დევსა და ქალბატ, ბრიალას, აგრეთვე ჩემს მიმწოლით დაკანონებულ კნეინას მამიდა, რომ ასეთი სამსახური გამიწიეს — მე ხომ ჩემს ნამდვილ მოწოდებას მივაგენი! (ისევ მომიტინგეებისაკენ მობრუნდება და ყვირის) მშვიდობით, მშვიდობით! თქვენი ადგილი მანდ არის, ჩემი კი იქ, იქ, ზევით! (ხელს მთებისკენ გაიშვერს) ვიშრომებ და იქიდან მოგაწვდით ხარშო-საბადებელსა! (მერე ისევ მაყურებელს მოუბრუნდება) თქვენ კი ჩემო აქაურო ხალხო, ვისაც ხურევილი გაქვთ, გამომყევით, — ჩვენს მადლიან საქმეს ჩვენისთანებიც სჭირდება. გველოდებით! ამოდით! ღმერთმა გზა დაგილოცოთ მარჯვნივაც და მარცხნივაც, აქეთაც და იქითაც!

ნაბიჯ-ნაბიჯ წინ, არცერთი ნაბიჯი — უკან! ამინ! (სიმღერას ოხუნჯიანად წამოიწყებს)

ცელო მოუსვი ბალახსა,
გაშლე გალე პირია, ოოო!..
თონჯა, ურო, სამკურა,
თონჯა, ურო, სამკურა,
ხათიბეზე გადახრილია, ო,ო,ო,!..

1990 წ.